პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

# მასაჟის თერაპია

მარნეული
**2025**

<u>პროგრამის ხელმძღვანელი ნათია ელიაური</u>

პროფესიული პროგრამა დამტკიცებულია
შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის
2025 წლის 3 თებერვლის N1543 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის
2025 წლის 7 მარტის N3343 ბრძანებით

1. პროფესიული პროგრამა მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - მასაჟის თერაპია; Massage Therapy (სარეგისტრაციო ნომერი - 09.2.1) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
3. პროგრამის სწავლების ფორმა- იმიტირებული.
4. **მიზანი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, რომლებიც აღიჭურვილი იქნებიან ყველა იმ საჭირო თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც განსაზღვრულია პროფესიის სტანდარტით.
5. **კვალიფიკაციის დონე**

   5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეხუთე დონე
6. **კლასიფიკაციის აღწერა**

   6.1 ISCED კოდი და აღწერა- 0915 თერაპია და რეაბილიტაცია - *შეისწავლის დროებითი ან მუდმივი სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ნორმალური ფიზიკური მდგომარეობის აღდგენის შესწავლა;*

   6.2 ISCO კოდი - 3255 ფიზიოთერაპიის სპეციალისტები და ასისტენტები

   6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 86.90.0 ჯანდაცვის სხვა საქმიანობები
7. **დასაქმების შესაძლებლობები**

   მასაჟის თერაპისტი შეიძლება დასაქმდეს:
   - სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დისპანსერი, რეაბილიტაციის ცენტრი/კლინიკა, სანატორიუმი);
   - დაწესებულებებში, რომლებიც ემსახურებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (პანსიონატები, დღის ცენტრები, ინვალიდთა სახლები);
   - ესთეტიკური რეაბილიტაციის ცენტრებში, ჰიგიენურ სალონებში, სპა ცენტრებში (კურორტები: სანატორიუმი, სასტუმრო), ასევე ოფისები -კერძო კაბინეტები;
   - საბავშვო დაწესებულებაში სამკურნალო ვარჯიშის და მასაჟის კაბინეტში (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სკოლები, ცეკვის სტუდიები);
   - სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში (სპორტული დარბაზები, სპორტული კლუბები, აუზები, ცეკვის სტუდიები);
   - ბინაზე -მომსახურება შეიძლება გაუწიოს ექიმ-რეაბილიტოლოგის დანიშნულებითა და მეთვალყურეობით.

## 8. დაშვების წინაპირობა

8.1 სრული ზოგადი განათლება
8.2 ასაკი არანაკლებ 18 წელი

## 9. სწავლის შედეგები

*კურსდამთავრებულს შეუძლია:*

9.1 გამოიკვლიოს პაციენტი/კლიენტი და შეაფასოს მისი მდგომარეობა;
9.2 აღწეროს მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები;
9.3 გამოიყენოს ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტებისა და ურთიერთობის ფსიქოლოგია;
9.4 მოაწყოს უსაფრთხო სივრცე მასაჟის პროცედურის ჩასატარებლად;
9.5 აღწეროს მასაჟის თეორიული საკითხები;
9.6 გააკეთოს კლასიკური (შვედური) მეთოდიკით ზოგადი და რეგიონალური მასაჟი;
9.7 გააკეთოს სამკურნალო მასაჟი;
9.8 გააკეთოს სპორტული მასაჟი;
9.9 გააკეთოს ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგადგამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟი;
9.10 გააკეთოს პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი;
9.11 განახორციელოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
9.12 იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;
9.13 განახორციელოს ესთეტიკური მასაჟი ან სპა და ბალნეოთერაპიული პროცედურები.

## 10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

| მოდული | პროფესიული უნარები | პროფესიული ცოდნა | *საკვანძო კომპეტენციები* | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | *მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია* | *უცხო ენაზე კომუნიკაცია* | *მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში* | *ციფრული კომპეტენცია* | *დამოუკიდებლად სწავლის უნარი* | *პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები* | *მეწარმეობა* | *კულტურული გამომხატველობა* |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მასაჟის თეორიული საფუძვლები | • იყენებს მასაჟის ნაირსახეობებს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით (მეთოდიკა, მიზანი, ტექნიკა, ტოპოგრაფიული პრინციპი);<br>• ასხვავებს მასაჟის ჩვენებებსა და წინააღმდეგ ჩვენებებს;<br>• იყენებს მასაჟის მოქმედების მექანიზმების ტექნიკებს;<br>• იყენებს აღდგენითი თერაპიის სხვა მეთოდებთან კომბინაციაში მასაჟის ინტეგრირების პრინციპებს. | • იცის მასაჟის არსი და მისი განვითარების ისტორია;<br>• იცის მასაჟის კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით (მეთოდიკა, მიზანი, ტექნიკა, ტოპოგრაფიული პრინციპი);<br>• იცის მასაჟის ჩვენებები და წინააღმდეგ ჩვენებები;<br>• იცის მასაჟის მოქმედების მექანიზმის პრინციპები;<br>• იცის აღდგენითი თერაპიის სხვა მეთოდებთან კომბინაციაში მასაჟის ინტეგრირების პრინციპები. | ✓ | | | | | | | | |
| 2. მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები | • აკეთებს ძირითადი ძვლების და სახსრების იდენტიფიცირებას;<br>• ითვალისწინებს ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემების ანატომიურ აგებულებას და ფიზიოლოგიურ ფუნქციებს;<br>• იყენებს სამედიცინო ტერმინოლოგიას ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დროს;<br>• აკეთებს ანატომიური პათოლოგიური ცვლილებების იდენტიფიცირებას გარეგანი დათვალიერებით. | • იცის მასაჟისტის პროფესიის მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები;<br>• იცის ნორმალური, პათოლოგიური და ტოპოგრაფიული ანატომიის სფეროების დიფერენცირება;<br>• იცის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიური აგებულება და ფიზიოლოგიური ფუნქცია;<br>• იცის კუნთების ძირითადი ჯგუფების მდებარეობა და მათი მიმაგრების წერტილები;<br>• იცის კანის ანატომიურ აგებულება და ფიზიოლოგიური ფუნქცია;<br>• იცის კუნთების შეკუმშვის საფუძვლები, მათ შორის | ✓ | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | „ძაფის მოცურების თეორია“ და ნეირომუსკულური შეერთება;<br>• იცის შინაგანი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია;<br>• იცის ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის ძირითადი ასპექტები. | | | | | | | | |
| 3. მასაჟის პროცედურის ორგანიზება | • ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად;<br>• აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს პაციენტს/კლიენტს პროცედურისათვის;<br>• აკონტროლებს პაციენტის/კლიენტის პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას;<br>• ამყარებს პაციენტთან/კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• სწორად რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე; | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები; | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • იწერს პაციენტის სიმპტომებს და პაციენტის მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას;<br>• ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას. | • იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის დროული რეაგირების პრინციპები შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე;<br>• იცის პაციენტის სიმპტომების ან პაციენტის მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერის და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესი;<br>• იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები. | | | | | | | | |
| 4. ბიოეთიკის და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტები, ურთიერთო | • ამყარებს პაციენტთან/კლიენტთან უკუკავშირს;<br>• აწვდის პაციენტს/კლიენტს რეკომენდაციებს და გეგმავს შემდგომ ვიზიტებს მისი საჭიროებებისა და ჯანმრთელობის | • იცის პაციენტთან/კლიენტთან უკუკავშირის დამყარების წესები პროფესიული საქმიანობის ეთიკისა და დეონტოლოგიის გათვალისწინებით ნდობის, ერთგულების და რეგულარული | ✓ | | | | | ✓ | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბების ფსიქოლოგი ა | მდგომარეობიდან გამომდინარე;<br>• აწვდის ინფორმაციას პაციენტს/კლიენტს რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ;<br>• აცნობს პაციენტს/კლიენტს სამომავლო მკურნალობის გეგმას სახლის პირობებში;<br>• აცნობს პაციენტს/კლიენტს მასზე მორგებული ჯანმრთელი ცხოვრებისა და ჰიგიენის წესებს;<br>• აცნობს პაციენტს/კლიენტს თავის უფლებებსა და ვალდებულებებს. | თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;<br>• იცის პაციენტის/კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვიზიტების დაგეგმვის პრინციპები;<br>• იცის მკურნალობის შესაძლო გვერდითი მოვლენები და მათი თავიდან აცილების მეთოდები;<br>• იცის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გზები;<br>• იცის მიღწეული შედეგის შენარჩუნების მეთოდები;<br>• იცის პაციენტზე/ კლიენტზე მორგებული გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისა და ჰიგიენის შერჩევის წესები;<br>• იცის პაციენტის/კლიენტის უფლებების და ვალდებულებების პრინციპები. | | | | | | | | |
| 5. ზოგადი და რეგიონალ ური მასაჟი კლასიკურ ი (შვედური) | • აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს პაციენტს/კლიენტს პროცედურისათვის; | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად სანიტარულ- | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეთოდიკით | • აკონტროლებს პაციენტის/კლიენტის პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას;<br>• ამყარებს პაციენტთან/კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე;<br>• იწერს პაციენტის სიმპტომებს და პაციენტის მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას;<br>• ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას;<br>• ატარებს კლასიკური მასაჟის ზოგად პროცედურას საბაზისო ტექნიკების/ილეთების გამოყენებით და მეთოდიკის ზუსტი დაცვით; | ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები;<br>• იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე დროული რეაგირების პრინციპები;<br>• იცის პაციენტის სიმპტომების ან პაციენტის მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერა და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესი; | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • ატარებს კლასიკური მასაჟის ადგილობრივ (ლოკალურ, რეგიონალურ) პროცედურას წესების ზუსტი დაცვით და ძირითადი საბაზისო ტექნიკების/ილეთების გამოყენებით;<br>• გეგმავს ვიზიტებს და ატარებს კლასიკური მასაჟის პროცედურას პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით პაციენტის/კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე;<br>• აწვდის პაციენტს/კლიენტს პროცედურის შემდგომ ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს. | • იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები;<br>• იცის მასაჟის მეთოდების ნაირსახეობები და ზემოქმედება ადამიანზე;<br>• იცის კლასიკური მასაჟის ზოგადი პროცედურის ყველა წესი, ტექნიკა და ილეთი;<br>• იცის კლასიკური მასაჟის ადგილობრივი (ლოკალური, რეგიონალური) პროცედურის ჩატარების მეთოდები;<br>• იცის პაციენტის/კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მისაღწევი მიზნის გათვალისწინებით კლასიკური მასაჟის ილეთების ტექნიკური მახასიათებლები;<br>• იცის პაციენტზე/კლიენტზე მორგებული გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შერჩევის პრინციპები;<br>• იცის პაციენტის/კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გამომდინარე ვიზიტების დაგეგმვის პრინციპები;<br>• იცის პროცედურის შემდგომი ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების გაცემის წესი. | | | | | | | | |
| 6. პაციენტის/ კლიენტის მდგომარეობის შეფასება | • წარუდგენს პაციენტს/კლიენტს თავის თავს;<br>• კრებს პაციენტის/კლიენტის ჩივილებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას;<br>• აანალიზებს პაციენტის/კლიენტის მონაცემებს;<br>• აწარმოებს პაციენტის/კლიენტის გამოკვლევას კომპეტენციის ფარგლებში;<br>• მუშაობს გუნდურად და იღებს კონსულტაციებს სხვა პროფესიონალებისაგან (საჭიროების შემთხვევაში);<br>• ირჩევს მასაჟის მეთოდებს ინდივიდუალური მიდგომით;<br>• აიდენტიფიცირებს პაციენტის მოლოდინებს და აწვდის ინფორმაციას მოსალოდნელი შედეგების შესახებ; | • იცის პროფესიული საქმიანობის ეთიკისა და დეონტოლოგიის გათვალისწინებით კლიენტთან/პაციენტთან ურთიერთობის პრინციპები;<br>• იცის გამოკითხვის კორექტულად ჩატარების, მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების პრინციპები;<br>• იცის ალერგიული ანამნეზის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის პაციენტის/კლიენტის გამოკვლევის წესი კომპეტენციის ფარგლებში: გარეგანი დათვალიერება, რბილი ქსოვილების პალპაცია, სახსრებში მოძრაობის სიფართის განსაზღვრა, კუნთების ტონუსის შეფასება, ადამიანის ჯანმრთელობის ამსახველი ძირითადი პარამეტრების მნიშვნელობა;<br>• იცის გუნდური მუშაობისა და სუბორდინაციის დაცვის პრინციპები: პაციენტის მდგომარეობის შესახებ სპეციალისტების | ✓ | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • განასხვავებს მასაჟის ჩვენებებსა და უკუჩვენებებს პაციენტის გამოკვლევის საფუძველზე;<br>• იღებს პაციენტისგან ინფორმირებულ თანხმობას პროცედურის ჩატარებაზე;<br>• იცავს პაციენტის კონფიდენციალურობას. | ინფორმირება, მკურნალობის დაგეგმვის უზრუნველსაყოფად სპეციალისტებთან ურთიერთთანამშრომლობა;<br>• იცის მასაჟის ჩვენებები და უკუჩვენებები, მოსალოდნელი შედეგები;<br>• იცის პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომის მეთოდები;<br>• იცის ინფორმირებული თანხმობის და კონფიდენციალურობის დაცვის ასპექტები. | | | | | | | | |
| 7. სამკურნ ალო მასაჟი | • ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად;<br>• აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს პაციენტს/კლიენტს პროცედურისათვის;<br>• აკონტროლებს პაციენტის/კლიენტის პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას; | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები; | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • ამყარებს პაციენტთან/კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• სწორად რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე;<br>• იწერს პაციენტის სიმპტომებს და პაციენტის მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას;<br>• ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას;<br>• ატარებს სამკურნალო მასაჟის პროცედურას (სხვადასხვა ნაირსახეობას) ჩვენებათა დიაპაზონის და წინააღმდეგ ჩვენებების გათვალისწინებით ექიმი-რეაბილიტოლოგის დანიშნულებითა და მეთვალყურეობით;<br>• მიყვება პაციენტის სარეაბილიტაციო გეგმას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);<br>• არჩევს პაციენტის ინდივიდუალური მდგომარეობის | • იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები;<br>• იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე დროული რეაგირების პრინციპები;<br>• იცის პაციენტის სიმპტომების ან პაციენტის მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერა და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესი;<br>• იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები;<br>• იცის სამკურნალო მასაჟის სხვადასხვა ნაირსახეობის ამოცანები და მეთოდიკები; | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გათვალისწინებით სამკურნალო მასაჟის ყველაზე ოპტიმალურ მეთოდს ან მათ კომბინაციებს;<br>• იყენებს სამკურნალო მასაჟის პაციენტის/კლიენტის მდგომარეობის შესაბამის მეთოდიკებს. | • იცის ექიმი-რეაბილიტოლოგის დანიშნულების გაანალიზება და შესრულების მეთოდები. | | | | | | | |
| 8. ადრეული ასაკის ბავშვთა გამაჯანსაღებელი, სამკურნალო მასაჟი და მოძრაობები | • ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად;<br>• აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს პაციენტს/კლიენტს პროცედურისათვის;<br>• აკონტროლებს პაციენტის/კლიენტის პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას;<br>• ამყარებს პაციენტთან/კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• სწორად რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე; | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები; | ✓ | | ✓ | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • იწერს პაციენტის სიმპტომებს და პაციენტის მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას;<br>• ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას;<br>• ატარებს ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგად გამაჯანსაღებელი მასაჟის პროცედურას ასაკობრივი კომპლექსების მიხედვით;<br>• ატარებს მასაჟის პროცედურას დღენაკლული ბავშვისთვის;<br>• ატარებს მასაჟის პროცედურას სხვადასხვა პედიატრიული დაავადებებისა და განვითარების დარღვევების დროს;<br>• ატარებს ჩვილ ბავშვთა მასაჟის პროცედურას წყალში. | • იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე დროული რეაგირების პრინციპები;<br>• იცის პაციენტის სიმპტომების ან პაციენტის მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერა და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესი;<br>• იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები;<br>• იცის ადრეული ასაკის ბავშვის ზრდა-განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი მასაჟის მეთოდები;<br>• იცის ადრეული ასაკის ბავშვთა მასაჟის ჩატარების | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩვენებები/წინააღმდეგ ჩვენებები;<br>• იცის ადრეული ასაკის ბავშვთა მასაჟის ჩატარების პირობები;<br>• იცის ასაკობრივი კომპლექსების მიხედვით ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგად გამაჯანსაღებელი მასაჟის პროცედურის შესრულების წესი;<br>• იცის დღენაკლული ბავშვებისთვის მასაჟის შესრულების მეთოდები;<br>• იცის სხვადასხვა პედიატრიული დაავადებებისა და განვითარების დარღვევების დროს მასაჟის პროცედურის ჩატარების წესი;<br>• იცის წყალში ჩვილ ბავშვთა მასაჟის პროცედურის ჩატარების წესი. | | | | | | | | |
| 9. პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი | • ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად;<br>• აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს პაციენტს/კლიენტს პროცედურისათვის;<br>• აკონტროლებს პაციენტის/კლიენტის | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას;<br>• ამყარებს კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• სწორად რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე;<br>• იწერს კლიენტის სიმპტომებს და მისი მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას;<br>• ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას;<br>• ატარებს პრევენციულ მასაჟს ინდივიდუალურად შერჩეული მეთოდიკით. | ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები;<br>• იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის დროული რეაგირების პრინციპები შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე;<br>• იცის პაციენტის სიმპტომების ან პაციენტის მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერა და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესები;<br>• იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები; | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები;<br>• იცის ინდივიდუალურად შერჩეული მეთოდიკით პრევენციული მასაჟის ჩატარების წესი. | | | | | | | | |
| 10. სპორტული მასაჟი | • ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად;<br>• აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს პაციენტს/კლიენტს პროცედურისათვის;<br>• აკონტროლებს პაციენტის/კლიენტის პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას;<br>• ამყარებს პაციენტთან/კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• სწორად რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე;<br>• იწერს პაციენტის სიმპტომებს და პაციენტის მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას; | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები;<br>• იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას;<br>• განსაზღვრავს სპორტული მასაჟის მეთოდიკას სპორტსმენის ფიზიკური დატვირთვიდან გამომდინარე;<br>• ატარებს მოსამზადებელ (სამობილიზაციო) მასაჟს: იცავს მიდამოების დამუშავების თანმიმდევრობას, ილეთების განაწილებას, ქრონომეტრაჟს;<br>• ატარებს აღდგენით (რეპარაციულ) მასაჟს: იცავს მიდამოების დამუშავების თანმიმდევრობას, ილეთების განაწილებას, ქრონომეტრაჟს;<br>• ატარებს ზოგად საწვრთნელ მასაჟს;<br>• იცავს მიდამოების დამუშავების თანმიმდევრობას, ილეთების განაწილებას, ქრონომეტრაჟს;<br>• ატარებს სარეაბილიტაციო მასაჟს: იცავს მიდამოების დამუშავების თანმიმდევრობას, ილეთების განაწილებას, ქრონომეტრაჟს;<br>• ასრულებს მარტივ ტეიპირებას ინსტრუქტაჟის | განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე დროული რეაგირების პრინციპები;<br>• იცის პაციენტის სიმპტომების ან პაციენტის მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერა და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესები;<br>• იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები;<br>• იცის სპორტული მასაჟის არსი;<br>• იცის მოსამზადებელი (სამობილიზაციო) მასაჟის პროცედურის ჩატარების შესაბამისი წესები;<br>• იცის აღდგენითი (რეპარაციული) მასაჟის პროცედურის ჩატარების შესაბამისი წესები;<br>• იცის პრევენციული (პროფილაქტიკური)-ზოგადი საწვრთნელი მასაჟის პროცედურის ჩატარების შესაბამისი წესები; | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაცვით და იყენებს სპეციფიკურ სამასაჟე საცხებს. | • იცის სარეაბილიტაციო მასაჟის პროცედურის ჩატარების შესაბამისი წესები;<br>• იცის სპეციფიკური სამასაჟე საცხების გამოყენების და მარტივი ტეიპების დადების წესი. | | | | | | | | |
| 11. ესთეტიკური მასაჟი | • ამზადებს საპროცედურო ოთახს მასაჟის ჩასატარებლად;<br>• აკონტროლებს საკუთარი თავის მზაობას პროცედურის ჩასატარებლად;<br>• ამზადებს კლიენტს პროცედურისათვის;<br>• აკონტროლებს კლიენტის პროცედურისთვის მზადყოფნას;<br>• ამოწმებს მასაჟის პროცედურისთვის საჭირო აღჭურვილობა-დანადგარებს და მათ გამართულობას;<br>• ამყარებს კლიენტთან კომუნიკაციას დეონტოლოგიური ნორმების დაცვით;<br>• სწორად რეაგირებს არასტანდარტულ და კონფლიქტურ სიტუაციებზე;<br>• იწერს კლიენტის სიმპტომებს და მისი მდგომარეობის ცვლილების შესახებ ინფორმაციას; | • იცის სამუშაო გარემოს ორგანიზების წესები;<br>• იცის შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის მოსაწყობად საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიული ნორმები;<br>• იცის პროფესიონალურ გარემოში, ისე ბინაზე/ოფისში ვიზიტის პირობებში, პაციენტის/კლიენტის მიღების ორგანიზების პრინციპები;<br>• იცის მასაჟის წინ ხელების დამუშავების სანიტარული ნორმები;<br>• იცის სამასაჟე კაბინეტის აუცილებელი აღჭურვილობა-დანადგარების სახეები;<br>• იცის ტექნიკური დანადგარების გამოყენების წესები;<br>• იცის მასაჟის ჩატარების ქცევითი ნორმები და პროცედურის | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • ამოწმებს სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების ვარგისიანობას და მარაგს;<br>• წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციას; | განხორციელების შინაგანაწესი;<br>• იცის შექმნილ/შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციაზე დროული რეაგირების პრინციპები;<br>• იცის კლიენტის სიმპტომების და მისი მდგომარეობის ცვლილების ინფორმაციის ჩაწერა და კონტროლის პრინციპები;<br>• იცის სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესები;<br>• იცის გახარჯული მასალისა და მარაგის განსაზღვრის პრინციპები;<br>• იცის ადმინისტრაციის წინაშე ანგარიშგების მეთოდები; | | | | | | | | |
| 12. SPA და ბალნეოთერაპიული პროცედურები | • ატარებს სხეულის მოვლის/სპა და საკორექციო პროცედურებს;<br>• ირჩევს სხეულის მოვლის/სპა ან საკორექციო პროცედურებს კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე;<br>• იყენებს დამხმარე საშუალებებს, როგორიცაა სველი კომპრესები და ტალახის აპლიკაციები; | • იცის სხეულის მოვლის და სპა პროცედურების ძირითადი მეთოდები, ეფექტები, ჩატარების წესები;<br>• იცის კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სხეულის მოვლის/სპა ან საკორექციო პროცედურის შერჩევის მეთოდები;<br>• იცის სხეულის მოვლის, სპა და საკორექციო | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • ატარებს ჰიდრო პროცედურებს: ჰიდრომასაჟი, პელიოდოთერაპია, შხაპების ნაირსახეობებს (შარკო, ცირკულარული);<br>• ატარებს სარელაქსაციო მასაჟს პაციენტის/კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით;<br>• ატარებს სამასაჟე პროცედურებს აპარატული მეთოდებით;<br>• ატარებს პროცედურას მასაჟის მომიჯნავე თერაპიებისა და სამკურნალო ტექნიკების გამოყენებით. | პროცედურების ჩატარების მეთოდები;<br>• იცის დამხმარე საშუალებების (სველი კომპრესები და ტალახის აპლიკაციები) გამოყენების წესი;<br>• იცის სარელაქსაციო მასაჟის ძირითადი სახეობები (ნეიროსედატიური მასაჟი, ცხელი ქვებით მასაჟი, არომამასაჟი და სხვ.) და მეთოდები.<br>• იცის სამასაჟე პროცედურების ჩატარებისას ძირითადი (ვიბრომასაჟი, პრესოთერაპია, წყალქვეშა მასაჟი) აპარატული მეთოდები;<br>• იცის სარელაქსაციო მასაჟის ძირითადი სახეობები (ნეიროსედატიური მასაჟი, ცხელი ქვებით მასაჟი, არომამასაჟი და სხვ.) და მეთოდები;<br>• იცის აპარატული მეთოდებით სამასაჟე პროცედურების ჩატარების წესები;<br>• იცის კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სამასაჟე | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პროცედურის აპარატული მეთოდის სწორად შერჩევის წესი;<br>• იცის მასაჟის აპარატული მეთოდების გამოყენების წესი;<br>• იცის კლიენტის საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მასაჟის მომიჯნავე თერაპიები და სამკურნალო ტექნიკების შერჩევის წესი. | | | | | | | | | |
| 13. პროფესიული და კარიერული განვითარება | • მოიპოვებს ინფორმაციას სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, კლინიკური კვლევებისა და ინდუსტრიული ტრენდების შესახებ;<br>• იყენებს განახლებულ ცოდნას პრაქტიკულად;<br>• იყენებს მასაჟის უახლეს ტექნიკებს;<br>• იყენებს განახლებულ ცოდნას პრაქტიკაში;<br>• იმაღლებს კვალიფიკაციას კომპეტენციის ფარგლებში მომიჯნავე სპეციალობებში;<br>• წევრიანდება პროფესიულ ორგანიზაციებში;<br>• უწევს მენტორობას ახალბედა პრაქტიკოსებს. | • იცნობს პროფესიულ გარემოს;<br>• იცის საკუთარი ცოდნის ხარისხის პრინციპები;<br>• იცის ახალი ტენდენციები, მათი გამოყენების აუცილებლობა და შესწავლის გზების საფუძვლები;<br>• იცის ძველი და ახალი დარგობრივი მეთოდოლოგიების შეფასების საფუძვლები;<br>• იცის განახლებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების პრინციპები;<br>• იცის ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებში | ✓ | | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კონტაქტების დამყარების მეთოდები;<br>• იცის საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მეთოდები;<br>• იცის მენტორობისათვის ეფექტური მეთოდები. | | | | | | | | |
| 14. პირველადი გადაუდებელი დახმარება | • იყენებს პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩანთაში არსებულ სამედიცინო დანიშნულების ნივთებს;<br>• მართავს უგონო მდგომარეობას სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;<br>• ატარებს ღონისძიებებს დაზარალებულის დასახმარებლად უცხო სხეულის გადაცდენის დროს;<br>• მართავს სისხლდენას და დაზარალებულის შოკის მდგომარეობას სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;<br>• მართავს დაზარალებულს ტრავმული მდგომარეობის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;<br>• მართავს დაზარალებულის მდგომარეობას სხვადასხვა ნაკბენის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე; | • იცის პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩანთაში არსებული სამედიცინო დანიშნულების ნივთების გამოყენების წესი;<br>• იცის პირველადი გადაუდებელი დახმარების D.R.C.A.B.D ალგორითმის განმარტების საფუძვლები;<br>• იცის გულის/სუნთქვის გაჩერების ამოცნობის წესი;<br>• იცის უგონო მდგომარეობის მართვის წესი;<br>• იცის ბავშვებსა და მოზრდილებში ჰეიმლიკის მანევრის ჩატარების წესი;<br>• იცის ჩვილებში სენდვიჩისებრი მოძრაობების ჩატარების წესი;<br>• იცის ჭრილობის სახეობები;<br>• იცის სისხლდენის სახეობები;<br>• იცის სისხლდენის შეჩერების წესი;<br>• იცის დამწოლი ნახვევის დადების მეთოდი; | ✓ | | | | | ✓ | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • მართავს დაზარალებულის მდგომარეობას მოყინვის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;<br>• მართავს დაზარალებულის მდგომარეობას დამწვრობის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;<br>• მართავს დაზარალებულის მდგომარეობას სხვადასხვა სახის მოწამვლის დროს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ან ჰოსპიტალიზაციამდე;<br>• იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას;<br>• გადასცემს ინფორმაციას დაზარალებულის შესახებ პროფესიონალებს და არაპროფესიონალებს ეთიკის წესების დაცვით. | • იცის შოკის სხვადასხვა სახეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები;<br>• იცის ტრავმის სახეობები;<br>• იცის ქარხნული და იმპროვიზებული არტაშანის გამოყენების წესი;<br>• იცის კისრის საყელოს გამოყენების წესი;<br>• იცის ნაკბენის სახეობები;<br>• იცის სხვადასხვა ნაკბენის შემთხვევაში ღონისძიებების გატარების წესი;<br>• იცის მოყინვის სახეები და ხარისხები;<br>• იცის მოყინვის მართვის წესი;<br>• იცის დამწვრობის სახეები და ხარისხები;<br>• იცის დამწვრობის მართვის წესი;<br>• იცის მოწამვლის სახეები;<br>• იცის მომწამლავი ნივთიერებების სახეები;<br>• იცის სხვადასხვა სახის მოწამვლისას შესაბამისი ღონისძიებების გატარების წესი;<br>• იცის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების წესი. | | | | | | | | |

11. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

- იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, ვისაც უდასტურდება ქართული ენის კომპეტენცია (სულ მცირე A2 დონეზე) პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. მასაჟის თერაპიაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 97 კრედიტის დაგროვება.; სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა 1,5 წელი;
- იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის კომპეტენცია პროგრამაზე სწავლა იწყება ქართული ენის მოდულით და პროგრამა მოიცავს 2 ქართული ენის მოდულს 30 კრედიტის ოდენობით (A2 და B1), 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. მასაჟის თერაპიაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 127 კრედიტის დაგროვება.; სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა 2,5 წელი;

| სასწავლო გარემოში სწავლისთვის | კრედიტი | იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლისთვის | დისტანციური სწავლების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|
| **ზოგადი მოდულები** | | | |
| მეწარმეობა | 4 | | |
| უცხოური ენა | 3 | | დისტანციური |
| სამოქალაქო განათლება | 2 | | დისტანციური |
| **პროფესიული მოდულები** | | | |
| მასაჟის თეორიული საფუძვლები | 4 | | |
| მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები | 6 | | დისტანციური |
| მასაჟის პროცედურის ორგანიზება | 3 | ✓ | |
| ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტები, ურთიერთობის ფსიქოლოგია | 3 | ✓ | |
| ზოგადი და რეგიონალური მასაჟი კლასიკური (შვედური) მეთოდიკით | 8 | ✓ | |
| პაციენტის/კლიენტის მდგომარეობის შეფასება | 7 | ✓ | |
| სამკურნალო მასაჟი | 14 | ✓ | |
| ადრეული ასაკის ბავშვთა გამაჯანსაღებელი, სამკურნალო მასაჟი და მოძრაობები | 10 | ✓ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი | 7 | ✓ | |
| სპორტული მასაჟი | 12 | ✓ | |
| პროფესიული და კარიერული განვითარება | 2 | | დისტანციური |
| პირველადი გადაუდებელი დახმარება | 2 | ✓ | |
| შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა | 5 | | დისტანციური |
| **არჩევითი ბლოკი** | | | |
| ესთეტიკური მასაჟი | 5 | ✓ | |
| **სულ კრედიტები 97** | | | |

## 12. დამატებითი ინფორმაცია

### 12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.
საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა

საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## 12.2 კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 97 კრედიტი (ქართული ენის მოდულებით დაწყების შემთხვევაში კი 103 კრედიტი) და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

## 12.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## 12.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი;
- პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროფესიის სტანდარტი - მასაჟის თერაპისტი;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED – 2013);
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი

**12.4პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართები:**

| | |
|---|---|
| **დანართი N 1.** | მეწარმეობა |
| **დანართი N 2.** | უცხოური ენა |
| **დანართი N 3.** | სამოქალაქო განათლება |
| **დანართი N 4.** | მასაჟის თეორიული საფუძვლები |
| **დანართი N 5.** | მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები |
| **დანართი N 6.** | მასაჟის პროცედურის ორგანიზება |
| **დანართი N 7.** | ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტები, ურთიერთობის ფსიქოლოგია |
| **დანართი N 8.** | ზოგადი და რეგიონალური მასაჟი კლასიკური (შვედური) მეთოდიკით |
| **დანართი N 9.** | პაციენტის/კლიენტის მდგომარეობის შეფასება |
| **დანართი N 10.** | სამკურნალო მასაჟი |
| **დანართი N 11.** | ადრეული ასაკის ბავშვთა გამაჯანსაღებელი, სამკურნალო მასაჟი და მოძრაობები |
| **დანართი N 12.** | პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი |
| **დანართი N 13.** | სპორტული მასაჟი |
| **დანართი N 14.** | პროფესიული და კარიერული განვითარება |

| | |
|---|---|
| **დანართი N 15.** | პირველადი გადაუდებელი დახმარება |
| **დანართი N 16.** | შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა |
| **დანართი N 17.** | ესთეტიკური მასაჟი |
| **დანართი N 18.** | ქართული ენა A2 |
| **დანართი N 19.** | ქართული ენა B1 |
| **დანართი N 20.** | სასწავლო გეგმა |
| **დანართი N 21.** | სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი; |
| **დანართი N 22.** | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი |